**საჯარო სამართლის იურიდიული პირი -**
**ბათუმის შოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტი**
**ა კ ა დ ე მ ი უ რ ი  ს ა ბ ჭ ო**

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

# დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 26

2016 წლის 27 მაისი,
ქ. ბათუმი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ**

„უმაღლესიგანათლებისშესახებ" საქართველოსკანონის 21-ემუხლის1-ლი პუნქტის და 22-ე მუხლის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის -ბათუმის შოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტისწესდების მე-8, 25-ე, 37-39-ე მუხლების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

**დაადგინა:**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის 4 (ოთხი) წლის ვადით დასაკავებლად **არჩევნები გამოცხადდეს 2016 წლის 30 მაისს.**
2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:
ა) უმაღლესი განათლება (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
ბ) 5 წლის სამუშაო გამოცდილება;
გ) სამოქმედო გეგმა.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ.ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, ოთახი N4), **2016 წლის 1 ივლისიდან 8 ივლისის ჩათვლით,** შაბათ-კვირისა და სხვა უქმე დღეების გარდა, 10 სთ-დან 16 სთ-მდე.
4. კანდიდატმა ამ დადგენილების მე-3 პუნქტში მითითებულ ვადაში საარჩევნო კომისიაში სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:
ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
ბ) ფერადი ფოტო, ზომით ¾;
გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

ე) სამოქმედო გეგმა;

ვ) ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან);

ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და **სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ განხორციელდეს 2016 წლის 18 ივლისს,12:00 სთ-ზე.**

6.საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად **არჩევნები ჩატარდეს 2016 წლის 18 ივლისს, 15:00 სთ-ზე.**

7.რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადების **(დანართი 1)** გამოქვეყნება დაევალოს:

ა) ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე - ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს არაუგვიანეს 2016 წლის 30 მაისისა;

ბ) ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე (საინფორმაციო დაფებზე) – ბსუ-ს კანცელარიას და ფაკულტეტების სამდივნოებს არაუგვიანეს 2016 წლის 30 მაისისა ;

გ) ბსუ-ს გაზეთში „ბათუმის უნივერსიტეტი“ - ამ გაზეთის რედაქტორს არაუგვიანეს **2016 წლის ივნისის პირველი სამუშაო კვირისა.**

8. დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

9.წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. #30).

10. დადგენილება ძალაში შედის ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის

თავმჯდომარე, პროფესორი გურამ ჩაგანავა

დანართი N1

# განცხადება

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის **4 (ოთხი) წლის ვადით** დასაკავებლად არჩევნები გამოცხადდეს 2016 წლის 30 მაისს.

2. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს მოეთხოვება:

ა) უმაღლესი განათლება (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

ბ) 5 წლის სამუშაო გამოცდილება;

გ) სამოქმედო გეგმა.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ბსუ–ს საარჩევნო კომისიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35, ოთახი N4), 2016 წლის **1 ივლისიდან 2016 წლის 8 ივლისის ჩათვლით, შაბათ-კვირისა და სხვა უქმე დღეების გარდა, 10 სთ-დან 16 სთ-მდე.**

4. კანდიდატმა მე-3 პუნქტში მითითებულ ვადაში საარჩევნო კომისიაში სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) 2 ფერადი ფოტო, ზომით ¾;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) უმაღლესი განათლების (დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის) მიღების დამადასტურებელი დოკუმენტების სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

ე) სამოქმედო გეგმა;

ვ) ინფორმაცია შრომითი საქმიანობის შესახებ (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან);

ზ) ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;

თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ;

5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და **სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ განხორციელდეს 2016 წლის 18 ივლისს,12:00 სთ-ზე.**

6.საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **რექტორის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები ჩატარდეს 2016 წლის 18 ივლისს,15:00 სთ-ზე.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო